

VIII კლასი

- რა მინიმალური მუშაობა უნდა შევასრულოთ, რომ მოძრავი ჭოჭონაქის დახმარებით 200 კგ მასის სხეული ავწიოთ 5 მ სიმაღლეზე, თუ ჭოჭონაქის მქნ 40%-ია? იპოვეთ ამ დროს გამოყენებული ძალის მნიშვნელობა.
- 4 კგ მასის აგურის 63°C -ით გასაცხელებლად დაიხარჯა იმდენივე სითბო, რაც 4 კგ წყლის $13,2^{\circ}\text{C}$ -ით გასათბობად. იპოვეთ აგურის კუთრი სითბოტევადობა, თუ წყლის კუთრი სითბოტევადობა არის $4200 \text{ J}/\text{kg} \cdot \text{K}$.
- რა მუხტმა გაიარა 0,5 ომი წინაღობის გამტარში 2 წმ-ის განმავლობაში, თუ ამ მუხტის გადასაადგილებლად დაიხარჯა 100 J მუშაობა?
- 1 ომი და 5 ომი წინაღობის გამტარები შეერთებულია პარალელურად და ჩართულია დენის წყაროსთან. დენის წყაროდან მოხმარებული დენის ძალა 15 ა-ია. იპოვეთ დენის ძალის მნიშვნელობები თითოეულ გამტარში.
- 20 მ/წმ სიჩქარით მოძრავი 0°C ტემპერატურის ყინულის ნაჭერი ეჯახება კედელს. ყინულის რა ნაწილი გადნება, თუ გადნობას ხმარდება მექანიკური ენერგიის 75%? ყინულის დნობის კუთრი სითბოა $340 \text{ J}/\text{kg}$.
- A₁ ამპერმეტრის ჩვენებაა 2ა (ნახ. 1). იპოვეთ A₂ ამპერმეტრის ჩვენება. ამპერმეტრები იდეალურია.
- ნახ. 2 გამოსახულ წრედში $2R$ წინაღობაზე გამოყოფილი სიმძლავრე არის P. იპოვეთ დანარჩენ წინაღობებზე გამოყოფილი სიმძლავრეები.
- გამტარს აქვს მართვულთხა პარალელეპიპედის ფორმა. აღმოჩნდა, რომ თუ გამტარის პარალელურ წახნაგებს მოვდებთ ერთსა და იმავე ძაბვას, დენის ძალა სამივე შემთხვევაში ერთნაირი იქნება. იპოვეთ გამტარის წინაღობა, თუ მისი მოცულობაა 8sm^3 , ხოლო კუთრი წინაღობა 160 ომი.სმ.

